MES 6 23 0001611764

28/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; საბჭოს სხდომის მდივანი.
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა:
ნათელა კოჭლამაზაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2. სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლა:
მადონა მუმლაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლა:
შორენა ღუდუშაური - სკოლის დირექტორი

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლა:
თამარ მელიქიძე - სკოლის დირექტორი

5. სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა:
ქეთევან დავლიანიძე - სკოლის დირექტორი

6. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლა:
ქეთევან მურცვალაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

7. სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლა:
ზაზა გოგოლაძე - სკოლის დირექტორი

8. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა:
გიორგი ჩიხლაძე - სკოლის დირექტორი

9. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლა:
ნანული მანჯგალაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა:

ა) ნანა ედიშერაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ავთანდილ კეჭაყმაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ლელა გორდულაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ირმა ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ვალერიან ვოლჩანსკი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლა:

ა) მაკა კანდელაკი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ელისაბედ ბუსხრიკიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნიკა უთალიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) სოფიკო მჭედლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ოლიკო კილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ეკატერინე კვირკველია - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლა:

ა) ნოდარ ანგურიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) თამარი კვანტიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ნინო აბესაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ანა ანუშიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) მარაიმი ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ვ) ვარდო გოგილავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ზ) მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თ) ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ი) ელენე ბეთლემიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
კ) მარიკა ბოცვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლა

ა) მაკა ჭიაბერაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ნინო მუმლაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ქეთევან ტურიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
დ) მანანა ჯაყელი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნათია ქათამაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) თეონა ჯაფარიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ნატო კვეტენაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა

ა) პაატა ჩორგოლაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) თინათინ ალავიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) მაია ქევხიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნინო კაპანაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ვარდო გოგილავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ელიზა ბაგალიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მზევინარ მჟავანაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო

ა) ზაზა ჭანტურია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ფარნაოზ იორდანიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნათია დარსაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) რუსუდან ნიპარიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ვ) ინგა ხრიკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) მორის გუმბარიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ლელა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მარინე ახალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლა

ა) ეთერ მეტრეველი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ია ღლონტი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ლიანა ქოქიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ირაკლი ტაბატაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნინო წერეთელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნათია ბალხამიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა

ა) ინა ბიწაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) გელა მაჭარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ანი მეხუზლა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლა:

ა) მაკა ტუკვაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:
ბ) შოთა მალაზონია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ლელა ბუბაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნანა ნიკოლაშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) სოფიო მგალობლიშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) მარიკა ბოცვაძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ანა ობოლაძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარიამ ჯვარაძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ციცინო თორია- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საბჭოს წინაშე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც ითხოვა საბჭოზე სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის პირველ საკითხად გადმოტანა. საბჭომ გაიზიარა შუამდგომლობა და საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან გახლდათ იმ რესურსცენტრის ხელმძღვანელი, რომლის ტერიტორიულ ორგანოსაც განეკუთვნებოდა სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, პაატა ჩორგოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, მისამართზე - ოქროყანა, ი. ჭავჭავაძის ქ. N5. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 270 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმებოდა აღნიშნულს და მათი თქმით დაწესებულებას არსებული ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 180 მოსწავლისთვის.
ექსპერტის თქმით, პირველი, მეორე (სამივე პროგრამისათვის) და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტის 3.1, 3.3, 3.4 და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს სტრატეგიულ გეგმაში უზუსტობების შესახებ, კერძოდ თუ რატომ მოიცავდა სტრატეგიული გეგმის თითოეული კომპონენტი სტრატეგიული გეგმის მოქმედების ყველა წელს. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლის შესრულება მხოლოდ სკოლაზე არ იყო დამოკიდებული, შესაბამისად სკოლას არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა, თუ რომელ წელს შეძლება სკოლა აქტივობის შესრულებას. თუმცა, იმ მიზნებთან დაკავშირებით, რომლის შესრულება სკოლას საკუთარი ძალისხმევითაც შეეძლო, სკოლა უახლოეს მომავალში დააზუსტებდა თარიღებს.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა შენობის მდგრადობასთან და სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუ რა ეტაპზე იყო სკოლა. სკოლის დირექტორმა, ქეთევან დავლიანიძემ აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოებაზე წერილი გაგზავნილი ჰქონდა და საქმის წარმოება დაწყებული იყო. რაც შეეხებოდა შენობის მდგრადობას, დასკვნაში მითითებული იყო, რომ სკოლას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი **- 0**

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4

პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლას (ს/კ: 203842495) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ოქროყანა, ი. ჭავჭავაძის ქ. N 5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, ოქროყანა, ი. ჭავჭავაძის ქ. N 5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, ოქროყანა, ი. ჭავჭავაძის ქ. N 5

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

16:51 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე.

2. სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 ივლისს. სკოლა მდებარეობდა დაბა თიანეთში, მისამართზე - რუსთაველის ქ. N59. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 550 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 550 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ორი შენობა, რომელთაგან ერთ-ერთი, რომელშიც სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა, რეაბილიტირებული იყო 2016 წლიდან „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოში“ ფარგლებში.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში ეფექტურად მუშაობდა სკოლის ბიბლიოთეკა სამკითხველო სივრცით. გარდა ამისა, ეფექტურად ფუნქციონირებდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსით. ასევე, სკოლა განსაკუთრებით აქტიური იყო არაფორმალური განათლების მიმართულებით.
ექსპერტის თქმით, პირველი სტანდარტი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით, კომპონენტები 1.1. და 1.2 კი შეფასებული იყო „მეტწილად“. მეორე (სამივე პროგრამისათვის) და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს ექსპერტიზის ბიუროს წერილი და საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, იყო თუ არა შეცვლილი სკოლის მისია. ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა განმარტა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს სკოლას მხოლოდ ახალი მისია ჰქონდა შემუშავებული, ხედვა და ღირებულებები კი არ იყო წარმოდგენილი.
საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლა ჩართული ეროვნული სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესში და მიმართა ექსპერტებს, ესაუბრათ სკოლაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ. სკოლის დირექტორმა, ნათელა კოჭლამაზიშვილმა განმარტა, რომ სკოლა ჩართული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესში. მათემატიკის ექსპერტმა, ნონა გორგილაძემ განმარტა, რომ სკოლის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იყო პრაქტიკული ხასიათის, მათ შორის ერთ-ერთი იყო ფინანსური მათემატიკა, კონკრეტულად კი გარკვეული პროდუქტების რეალიზაცია.

საბჭოს წევრი მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, რამ განაპირობა, რომ სკოლას მეათე კლასში დაგეგმილი ჰქონდა გამოცდა მოქალაქეობასა და ფიზიკაში. სკოლის დირექტორმა განმარტა, ვინაიდან გამოცდები არ უნდა მეორდებოდეს ერთი და იმავე საგანში, ყოველ წელს იცვლებოდა საგნები, შესაბამისად, მიმდინარე წელს საგნების შერჩევა მოხდა პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირასსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 232386272) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N59
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო	ქართული	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N59

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N59

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

3. სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ , დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა კანდელაკმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, მისამართზე - მოსკოვის გამზირი, II კვარტალი. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1500 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1500 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლის პერსონალს ჰქონდა მაღალი კომპეტენცია, თანამშრომლობითი კულტურა და სიახლეებისადმი ღიაობა. გარდა ამისა, სკოლას ჰქონდა არაერთი კლუბი, სადაც მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები.
ექსპერტის თქმით, პირველი, მეორე (სამივე პროგრამისათვის), მეოთხე და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა მესამე სტანდარტის 3.4 და 3.5 კომპონენტი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა კათედრებს ერთობლივი პროექტები. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, როლანდ ხოჯანაშვილმა განმარტა, რომ მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან და ერთად დაგეგმილი ჰქონდათ არაერთი პროექტი.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, გასცეს თუ არა შეფასებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები. საბუნებისმეტყველო მეცნიერების ექსპერტმა, ნინო ფსუტურმა აღნიშნა, რომ შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაციები.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა ეტაპზე იყო დაწესებულება შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, მადონა მუმლაძემ აღნიშნა, რომ შენობის მდგრადობის დოკუმენტთან დაკავშირებით მუშაობა დაწყებული იყო და ელოდნენ ექსპერტიზის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლას (ს/კ: 208142721) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, II კვარტალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, II კვარტალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, II კვარტალი

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, ასევე ინკლუზიური გარემოს (ლიფტი/პანდუსი) უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ , დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14

ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, მისამართზე - დოლიძის ქ. N3. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1680 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი, სამივე პროგრამისათვის), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასებული იყო, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.4 და 4.2 „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად", ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კურიკულუმებთან დაკავშირებით ექსპერტებს მიმართა კითხვით, რის მიხედვით მოხდა მეორე სტანდარტის შეფასება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ანა ანუშიძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან შეხვედრების დროს ექსპერტის მხრიდან გაიცა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ მაღალი მზაობა, ისინი ინიშნავდნენ უკუკავშირს და გეგმავდნენ მათ შემდგომ საქმიანობაში გათვალისწინებას. ექსპერტის განცხადებით სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა ხდებოდა არა მხოლოდ კათედრის წევრებს შორის, არამედ სხვადასხვა საგნობრივ კათედრებს შორის. ექსპერტმა ანა ანუშიძემ საბჭოს წევრებს გაუზიარა ის მნიშვნელოვანი რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც გაცემული იქნა მასწავლებლებთან შეხვედრის დროს.
საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გამოცხადებულ ერთ-ერთ ვაკანსიაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შორის იყო სამწლიანი სამუშაო გამოცდილება. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ ხდებოდა სკოლის მხრიდან ვაკანსიის გამოცხადება და კანდიდატებთან თანამშრომლობა. სკოლის დირექტორმა შორენა ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ ვაკანსიის იდებოდა შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. სკოლა ატარებდა გასაუბრებებს შესაბამის კანდიდატებთან. იმ შემთხვევაში თუ სკოლა ვერ შეარჩევდა შესაბამის კანდიდატს, ვაკანსია ცხადდებოდა თავიდან, როდესაც შესაძლებელი იყო საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცვლილება.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, სამწლიანი გამოცდილება იყო თუ არა სავალდებულო ყველა ვაკანსიისათვის. სკოლის დირექტორის განცხადებით აღნიშნული მოთხოვნა ნებისმიერი ვაკანსიის შემთხვევაში სავალდებულო არ იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1680-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლას (ს/კ: 211351936) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1680-ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, დოლიძის ქ. N3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, დოლიძის ქ. N3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, დოლიძის ქ. N3

საბჭომ 3.4 და 4.2 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და სკოლის ბუფეტისთვის უსაფრთხო კვების ე.წ. HACCP-ის სისტემით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. სსიპ - ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ , დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, მისამართზე - დავით კვაჭანტირაძის ქ. N2. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1350 მოსწავლე. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს სკოლაში 960 მოსწავლე ირიცხებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი (სამივე პროგრამისათვის)), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა მაკა ჭიაბერაშვილმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მოწესრიგებული და სასიამოვნო გარემო. სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა წრე და მოსწავლეებს სასკოლო გარემოში ჰქონდათ სასურველი წრის შერჩევის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს მიმართა კითხვით, როგორ შეაფასებდა სკოლის მიერ წარმოდგენილ საბოლოო კურიკულუმებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მანანა ჯაყელმა აღნიშნა, რომ გასაუბრების შემდეგ, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და მასალები წარმოადგინეს შესწორებული სახით. სკოლის დირექტორმა, თამარ მელიქიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ კურიკულუმებთან დაკავშირებით გაცემული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო სკოლის მასწავლებელთა მიერ და უკვე განხორციელებული იყო შესაბამისი ცვლილებები. დირექტორის განცხადებით ოქტომბრის თვეში სკოლაში განხორციელდა დიაგნოსტიკური წერების პირველი ეტაპი, რომლითაც მოხდა გასულ წელს შესწავლილი მასალის შემოწმება.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N90 საჯარო სკოლას (ს/კ: 206031729) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1350- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქ. N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქ. N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქ. N2

17:53 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა.

6. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 4 და 5 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ცაგერის

მუნიციპალიტეტში, სოფელ ოყურეშში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ორი, ერთმანეთისგან ხუთი კილომეტრით დაშორებული კორპუსი. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 160 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"' სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 1.1, 2.2, 3.1, 3.3, 3.4 და 3.6 „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა მაკა მამფორიამ ყურადღება გაამახვილა ვერიფიკაციის მექანიზმზე და ექსპერტს მიმართა კითხვით ჰქონდა თუ არა სკოლას გარკვეული ხედვა ჩამოყალიბებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ექსპერტმა ზაზა ჭანტურიამ აღნიშნა, რომ ვერიფიკაციის მექანიზმი შემუშავებული იყო ინდივიდუალურად, საგნობრივ კათედრებზე, თუმცა, სკოლას ერთიანი ხედვა ჯერ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული.

საბჭოს წევრი მაკა მამფორია დაინტერესდა სკოლაში არსებული ლაბორატორიით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენად ხდებოდა რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესების მიმდინარეობის დროს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა ნათია დარსაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა რესურსებით მდიდარი ლაბორატორია. ექსპერტის განცხადებით სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესები ცდებზე, ექსპერიმენტებსა და კვლევებზე იყო დაფუძნებული.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლას (ს/კ: 242576182) 6 წლის ვადით

მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ცაგერის რაიონი, სოფელი ოყურეში
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ცაგერის რაიონი, სოფელი ოყურეში
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ცაგერის რაიონი, სოფელი ოყურეში

საბჭომ 3.1, 3.3, 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობების განსაზღვრის დამადასტურებელი დოკუმენტის, ხარისხის პოლიტიკის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტის, სამედიცინო კაბინეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის დამადასტურებელი მასალის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის წარმოდგენა.

19:32 საათზე სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა, ნატო გაბოშვილმა და თამარ მამსიკაშვილმა.

7. სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის ს აჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ , დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ეთერ მეტრეველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელი ტაძრისში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 400 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.

ეთერ მეტრეველის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4, 3,5 და 3.6 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე (სამივე კურიკულუმთან მიმართებით) და მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, სკოლაში დასაქმებული იყო პროგრამა ,,ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში ბიოლოგიის პედაგოგი.

სკოლას ჰქონდა 6 შესასვლელი, მათ შორის იყო სპორტული და სააქტო დარბაზის შესასვლელი და ყველა მათგანზე მოწყობილი იყო პანდუსი. ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტომასალა და აღნიშნა რომ სკოლაში იყო სპორტული დარბაზი, ხელოვნურ საფარიანი გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებული იყო სამკითხველო სივრცე. პროექტებში მონაწილეობის შედეგად და შემოწირულობებით განახლებული იყო წიგნადი ფონდი. სკოლაში ასევე იყო შიდა და გარე თავისუფალი რეკრეაციულ სივრცეები, საგამოფენო სივრცე, სადაც განთავსებული იყო მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლის პირველ სართულზე გამოფენილი იყო კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ საჩუქრად გადაცემული ილუსტრაციები. ექსპერტის განცხადებით სკოლის კედლები მეორე სართულზე იყო დაზიანებული წვიმისგან და საჭიროებდა რეაბილიტაციას. ასევე შენობაში დამონტაჟებული იყო ლიფტის შახტი, მაგრამ არ იყო ლიფტის კაბინა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა როდის ჩაუტარდა სკოლას რეაბილიტაცია. ექსპერტმა, ეთერ მეტრეველმა აღნიშნა რომ სკოლა 2010 წელს აშენდა და მას შემდეგ მოხდა მხოლოდ სახურავის შეკეთება. საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა

სკოლის მშენებლობისას გათვალისწინებული იყო თუ არა ლიფტის არსებობა და ამჟამად რატომ არ იყო სკოლაში აღნიშნული. სკოლის დირექტორმა, ზაზა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა ამ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია, ვინაიდან სკოლას ხელმძღვანელობდა 2011 წლიდან, თუმცა სკოლაში ლიფტი არასდროს არ ყოფილა, რაც შეეხებოდა შახტებს, დალუქული იყო და არ წარმოადგენდა საფრთხეს.
ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა იზოლდა ლომთაძემ, ასევე აღნიშნა, რომ სკოლას მშენებლობიდან ძალიან მალე გაუჩნდა პრობლემები, კერძოდ არ ჰქონდა კლიმატის შესაბამისი გადახურვა და ცენტრალური გათბობა, რაც ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან ერთად ბოლო სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივად გვარდებოდა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ პირველ, მეორე და მესამე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული იყო მნიშვნელოვანი რჩევები. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა სკოლას და სთხოვა დაეზუსტებინა აპირებდა თუ არა აღნიშნული რჩევების გათვალისწინებას, მიუხედავად იმისა რომ არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს. სკოლის დირექტორმა, ზაზა გოგოლაძემ განაცხადა, რომ სკოლა აპირებდა ყველა რჩევისა და რეკომენდაციის გათვალისწინებას, კერძოდ ყველა საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებას და კედლების რესტავრაციას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას ურჩია, რომ გადაეხედა და დაერედაქტირებინა მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ძირითად იყო Word-ის ფაილის სახით და სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა იყო თუ არა აღნიშნული დოკუმენტები ბრძანებით დამტკიცებული. ექსპერტმა ეთერ მეტრეველმა დაადასტურა, რომ სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარა ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლას(ს/კ: 226157324) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაძრისი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაძრისი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაძრისი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

19:42 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი.

8. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ინა ბიწაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფელ გორისაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 500 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი ვინაიდან სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისა და აღწერის საფუძველზე, ფინანსური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე სკოლას ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო და უზრუნველყო 200 მოსწავლის განათლების მიღება სამივე საფეხურზე.

ინა ბიწაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4, და 3.6 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა გამოირჩეოდა საინტერესო პროექტების განხორციელებით. მათ შორის იყო საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ ინიცირებული პროექტი „კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სავიზიტო ბარათია“. ასევე განხორციელდა პროექტი: „საქართველოს დაცული ტერიტორიები“, სადაც მოსწავლეებმა გამოიყენეს კომპიუტერული ტექნოლოგიები და Minecraft-ის სასწავლო პროგრამა. აღნიშნული პროექტი ემსახურებოდა ისეთი პრიორიტეტული თემის გააქტიურებას, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა შეძლეს პრობლემის ამოცნობა, გაანალიზება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა, სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს, თანამედროვე რეალობის სივრცულ დროით ჭრილში გააზრება, ინტერპრეტირება და ა.შ. 2022-2023 სასწავლო წელს მოქალაქეობის მასწავლებლის ხელმძღვანელობით სკოლაში ფუნქციონირებდა სასკოლო კლუბი „მოდინახე“, რომელიც ახორციელებდა გარემოსდაცვით ღონისძიებებს. პოპულარიზაციას უწევდა ჯანსაღი ცხოვრების წესს, ეხმარებოდა ბენეფიციარებს ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობის გააზრებაში. პროექტის ფარგლებში მათ შესძინეს ძველ ნივთებს ახალი სიცოცხლე, გააცნობიერეს უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობა. აღინიშნა ტყისა და დედამიწის საერთაშორისო დღეები საინტერესო ღონისძიებებით. გორისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს GDI-ის მიერ გამართულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღის

აღსანიშნავ ღონისძიებათა კონკურსში, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი ჟიურის მიერ შერჩეულ იქნა ათ (10) საუკეთესო პროექტს შორის და დაფინანსდა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ სკოლის მიმართ გაცემული იყო მნიშვნელოვანი რჩევები ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა გაითვალისწინა თუ არა სკოლამ რჩევები ან აპირებდა თუ არა მომავალში გათვალისწინებას. სკოლის დირექტორმა, გიორგი ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ სკოლა სრულად იზიარებდა ექსპერტთა რჩევებს, ამასთან მათ უკვე გაითვალისწინეს რიგი რჩევები, კერძოდ, სკოლაში არაფორმალური განათლების ფარგლებში უკვე ჩამოაყალიბეს მათემატიკის წრეები, ასევე რჩევები ეხებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სოლო ტაქსონომიებს, რომლებიც ასევე იქნა გათვალისწინებული. მესამე სტანდარტთან დაკავშირებითაც დაწყებული იყო პროცესები, კერძოდ, სკოლა ელოდებოდა დასკვნას შენობის მდგრადობის შესახებ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან, ასევე, დაწყებული იყო პროცესები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვებისა და სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის სრულყოფილად ასახვის მიზნით
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლას(ს/კ: 239404088) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელ გორისა

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელ გორისა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელ გორისა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა; ასევე, ვებგვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის ქართულ ენაზე განთავსების მტკიცებულების წარმოდგენა.
20:38 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი.

9. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ სამტრედიაში, მისამართზე - თელიას ქუჩა N2. სკოლა

ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.

მაკა ტუკვაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4 და 3,5 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე (სამივე კურიკულუმისათვის) და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სკოლა ჩართული იყო პროექტში „პროფესიული უნარების განვითარება სკოლაში“, რომელსაც ახორციელებდა „პროფესიული უნარების განვითარების სააგენტო“ აზიის განვითარების ფონდის მხარდაჭერით. 2022-2023 სასწავლო წელს კი ამ პროექტის მოკლევადიან სასერტიფიკაციო პროგრამის ფარგლებში სკოლამ გააფორმა მემორანდუმი პარტნიორ კოლეჯთან - ქუთაისის კოლეჯი „იბერია“ და საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა აითვისეს „გრაფიკული დიზაინის“ პროფესია. 2023-2024 სასწავლო წლიდან დაემატა კიდევ ერთი პროგრამა: „საყოფაცხოვრებო ელექტრომომსახურება“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა რომ სკოლის მიმართ გაცემული იყო მნიშვნელოვანი რჩევები ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა გაითვალისწინა თუ არა სკოლამ რჩევები ან აპირებდა თუ არა მომავალში გათვალისწინებას. სკოლის დირექტორმა, ნანული მანჯგალაძემ აღნიშნა რომ ის ავტორიზაციის გუნდთან ერთად იზიარებდა რჩევებს და მუშაობდა მათ გათვალისწინებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლას (ს/კ: 238762987) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. სამტრედია, თელიას ქ. N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. სამტრედია, თელიას ქ. N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. სამტრედია, თელიას ქ. N2

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ასევე ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 21:03 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
მამფორია მაკა